საქართველოს
პირველი არხი

„მოამბე“
საპარლამენტო არჩევნები
მონიტორინგის შედეგები

1.11.2020 - 30.11.2020

პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის საარჩევნო მონიტორინგი პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით. თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით. როგორც პრაიმ თაიმში, ასევე ოფფ პრაიმში გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

მონიტორინგის პროცესი საარჩევნო კამპანიის, არჩევნების პირველი და მეორე ტურის გაშუქებაზე დაკვირვების და მონიტორინგის სუბიექტების რაოდენობრივი კომპონენტების აღრიცხვის მიზნით 30 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. უკვე გამოქვეყნდა პირველი არხის და საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მონიტორინგის სრული ანგარიში, პირველი სექტემბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით. ამჯერად წარმოგიდგენთ მოამბის საარჩევნო ანგარიშს თვის ჭრილში (პირველიდან 30 ნოემბრის ჩათვლით).

31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა პოლიტიკური სუბიექტები ორ ძირითად პოლუსზე გადაანაწილა. ქართული ოცნების ოპონენტი გახდა გაერთიანებული ოპოზიცია. გააქტიურდა საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის როლი პოლიტიკური პროცესების დეესკალაციაში. გამომდინარე აქედან, მონიტორინგის სუბიექტებს, ნოემბრის თვის ანგარიშში, დაემატა „გაერთიანებული ოპოზიცია“ და „დიპლომატიური კორპუსი“.

მონიტორინგის სუბიექტები:

- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ცესკოში რეგისტრირებული პარტიები/ბლოკები
- პარლამენტის არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, ცესკოში რეგისტრირებული, მაჟორიტარი კანდიდატები
- საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტები
- გაერთიანებული ოპოზიცია
- მთავრობა
- პარლამენტი
- პრეზიდენტი
- ადგილობრივი თვითთმართველობები
- ცესკო/უსკო

- არასამთავრობო ორგანიზაციები
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- დიპლომატიური კორპუსი

ანგარიშში აისახა მოამბის ყველა გამოშვებაში (მათ შორის სპეციალურ გამოშვებებში) გაშუქებული:

- საარჩევნო თემების რაოდენობრივი მონაცემი და დათმობილი დრო
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება (პირდაპირი და ირიბი)
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონი

პარტიები/ბლოკები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობდნენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

საანგარიშო პერიოდში მოამბის ყველა გამოშვებაში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 1183, დათმობილი დრო 70:20:02 (სამოცდაათი საათი, ოცი წუთი და ორი წამი).

ნოემბრის თვე საარჩევნო პროცესების გაშუქების თვალსაზრისით წინა ორ თვესთან შედარებით განსხვავებული იყო. სექტემბერ-ოქტომბერში მოამბის სარედაქციო პოლიტიკის ძირითადი აქცენტი საარჩევნო სუბიექტების აქტივობების დაბალანსებულ გაშუქებზე გაკეთდა. წინასაარჩევნო პერიოდში, მოამბემ ეთერი დაუთმო ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოამბის მთავარი ორიენტირი მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მაქსიმალური სიზუსტით გაშუქება გახდა. ამის გამო, საგრძნობლად მოიმატა პირდაპირი გაშუქების ხანგრძლივობამ. (იხ. გრაფიკი #1) თუმცა, ამავდროულად, საარჩევნო სუბიექტების გაშუქების სარედაქციო პოლიტიკა როგორც წინასაარჩევნო, პირველი და მეორე ტურის და ასევე, არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის იყო უცვლელი და კვლავ გამომდინარეობდა საარჩევნო სუბიექტების აქტივობებიდან.

განვითარებული პოლიტიკური პროცესების გაშუქება ხშირ შემთხვევაში იწვევდა პირველი არხის ბადის ცვლილებას. მუშაობა მიმდინარეობდა არასტანდარტული პროგრამირების რეჟიმში, საინფორმაციო გამოშვების პრიორიტეტით. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის საგანგებო სამუშაო პირობებში ეთერში გავიდა მოამბის არაერთი სპეციალური გამოშვება და არასტანდარტული ქრონომეტრაჟის გადაცემა (იხ. ცხრილი #1). უწყვეტი ეთერით, გაყოფილი ეკრანის პრინციპით მთლიანად გაშუქდა გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციები. რის შედეგადაც გაერთიანებული ოპოზიციის გაშუქების რაოდენობრივი მონაცემები მკვეთრად უსწრებს ყველა სხვა სუბიექტის მონაცემებს. აქციები, სადაც სხვადასხვა

საარჩევნო სუბიექტის ატრიბუტიკის ფონზე გამომსვლელები იყვნენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოების ცნობილი თუ უცნობი წევრები, ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქება (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #1 (მოამბის სპეციალური და არასტანდარტული გამოშვებები)

მოამბის სპეციალური და არასტანდარტული გამოშვებები			
თარიღი	გამოშვების სპეციფიკა და კონტენტი	ქრონომეტრაჟი	გაერთიანებული ოპოზიციის აქციების პირდაპირი გაშუქება
1.11.20	მოამბე 10:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით. გაშუქდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრიფინგი არჩევნებზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით, ცესკოსა და უსკოს ბრიფინგები, ოპოზიციური პარტიების და ქართული ოცნების მიერ არჩევნების შედეგების შეფასებები, არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები)	00:26:15	
	მოამბე 12:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით	00:52:45	
	მოამბე 15:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით. გაშუქდა საერთაშორიშო სადამკვირვებლო მისიების ბრიფინგი, არჩევნების წინასწარი შედეგები, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები, მონაცემები საქართველოს რეგიონებიდან, გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქცია რუსთაველზე	05:13:28	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 03:51:38
4.11.20	მოამბე 21:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით. გაშუქდა დაპირისპირება #3 საოლქო საარჩევნო კომისიასთან	01:19:15	
	ამავე ღამით გავიდა „მოამბის“ სპეცილური გამოშვება რომელსაც უძღვებოდა პირველი არხის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი, გიორგი გვიმრაძე. გაშუქდა ვითარება საოლქო საარჩევნო კომისიებთან თბილისსა და ბათუმში. დაიწყო 00:50:41-დასრულდა 02:01:54		გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 00:49:00

8.11.20	მოამბე 15:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით. გაყოფილი ეკრანის პრინციპით უწყვეტად გაშუქდა გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქცია პარლამენტთან.	05:20:15	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 05:20:15
	ამავე ღამით, გადაცემა „ახალი კვირა“ შეწყდა და გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება. უწყვეტად გაშუქდა გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქცია, რომელმაც რუსთაველიდან გადაინაცვლა ცესკოს ცენტრალურ ოფისთან და გადაიზარდა დაპირისპირებაში სამართალდამცავებთან.	04:47:05	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 04:47:05
9.11.20	გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება. მთლიანად გაშუქდა საპროტესტო აქცია რუსთაველზე.	01:16:10	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 01:16:10
	ამავე დღეს, მოამბე 21:00 გავიდა არასტანდარტული ქრონომეტრაჟით. გაშუქდა ოპოზიციის პროტესტი აჭარაში და გაყოფილი ეკრანის პრინციპით უწყვეტად გაშუქდა გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქცია პარლამენტთან.	01:49:15	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 01:49:15
14.11.20	12 საათზე გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება, გაყოფილი ეკრანის პრინციპით უწყვეტად გაშუქდა გაერთიანებული ოპოზიციის აქცია რუსთაველზე.	02:44:15	გაერთიანებული ოპოზიციის პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი 02:44:15
17.11.20	გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება. გაშუქდა მაიკ პომპეოს ვიზიტი საქართველოში	00:39:15	
20.11.20	17:23 საათზე გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება. გაშუქდა საპოლიციო ღონისძიებები წერეთლის გამზირზე, შეიარაღებული პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში შეჭრა. ამავე გამოშვებაში გაყოფილი ეკრანის პრინციპით გაშუქდა ოპოზიციის ლიდერების ინდივიდუალური შეხვედრები ამერიკის და ევროკავშირის ელჩებთან	02.55.20	

21.11.20	მოამბე მთელი დღის მანძილზე უწყვეტად აშუქებდა არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას. მაყურებელს აწვდიდა ინფორმაციას სხვადასხვა უბნიდან მთელი საქართველოს მასშტაბით		
	მოამბე 8:00	00:23:15	
	მოამბე 9:00	00:40:10	
	მოამბე 10:00	00:48:15	
	მოამბე 11:00	00:46:40	
	მოამბე 12:00	00:50:20	
	მოამბე 13:00	00:47:55	
	მოამბე 14:00	00:42:40	
	მოამბე 15:00	00:45:05	
	მოამბე 16:00	00:43:25	
	მოამბე 17:00	00:40:35	
	მოამბე 18:00	00:51:50	
	მოამბე 19:00	00:40:25	
	მოამბე 20:00	01:46:35	
	მოამბე 23:00	00:23:35	
26.11.20	14 საათზე გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება. გაშუქდა პრემიერ მინისტრის ბრიფინგი, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული შეზღუდვების შესახებ	01:49:30	

საანგარიშო პერიოდში სულ გაშუქდა მონიტორინგის 34 სუბიექტი. მათ შორის 25 საარჩევნო სუბიექტი (22 რეგისტრირებული პარტია/ბლოკი). მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირი გაშუქების დრო მოამბეში არის 48:41:19 (ორმოცდარვა საათი, ორმოცდაერთი წუთი და ცხრამეტი წამი). ამასთან, 10 წუთზე მეტი დაეთმო მხოლოდ ათ პოლიტიკურ სუბიექტს. აქტიურად გაშუქებულ სუბიექტებს შორის წარმოდგენილია ის ცხრა პარტია/ბლოკი ვინც საპარლამენტო არჩევნებში მოიპოვა მანდატები.

მონიტორინგის სუბიექტების ირიბ გაშუქებას დაეთმო 30:17:52 (ოცდაათი საათი, ჩვიდმეტი წუთი და ორმოცდათორმეტი წამი). ყველაზე მაღალი ირიბი გაშუქება აქვს გაერთიანებულ ოპოზიციას (8:26:44), ცესკო/უსკოს (4:44:09), პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (03:46:03). რაც ნიშნავს, რომ ეს სუბიექტები მიმდინარე პოლიტიკური პროცესის განხილვისა და დისკუსიის ძირითად საგანს წარმოადგენდნენ და მათზე საუბარს მონიტორინგის სუბიექტებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს.

(ცხრილი #2 - მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით. მონაცემებში არ შედის სუბიექტები 5 წთ-ზე ნაკლები გაშუქების მაჩვენებლით)

მონიტორინგის სუბიექტები	პირდაპირი	ირიბი
გაერთიანებული ოპოზიცია	20:50:16	8:26:44
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	5:13:35	3:46:03
მთავრობა	5:01:26	2:29:50
ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია	3:46:17	3:21:32
ცესკო/უსკო	1:46:28	4:44:09
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	2:57:51	0:37:06
საერთაშორისო ორგანიზაციები	0:50:01	2:03:37
ლელო - მამუკა ხაზარაძე	1:37:47	0:38:04
ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	1:22:08	0:10:52
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:52:23	0:21:24
გირჩი	0:50:17	0:16:41
დიპლომატიური კორპუსი	0:07:33	0:51:49
პარლამენტი	0:18:12	0:40:55
არასამთავრობო ორგანიზაციები	0:18:18	0:38:10
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0:36:45	0:09:47
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0:35:20	0:05:59
ადგილობრივი თვითმმართველობები	0:28:03	0:13:02
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:18:53	0:08:35
პრეზიდენტი	0:11:45	0:14:52
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0:04:12	0:06:10
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:05:02	0:03:26
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0:07:16	0:00:52
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები	0:04:10	0:02:17
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0:05:02	0:01:23
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:04:13	0:01:25

გრაფიკი #1 (მონიტორინგის სუბიექტები პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100%-ად ითვლება თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური ქრონომეტრაჟი. მონაცემებში არ შედის სუბიექტები 5 წთ-ზე ნაკლები გაშუქების მაჩვენებლით)



საანგარიშო პერიოდში გაიზარდა საარჩევნო სუბიექტების პოლარიზების ხარისხი. გამოიკვეთა ორი ძირითადი პოლუსი ქართული ოცნების და გაერთიანებული ოპოზიციის სახით. თუმცა თუ წინასაარჩევნო მონიტორინგი ქართული ოცნების მკვეთრად მაღალ უარყოფით გაშუქებას გვიჩვენებდა, ამჯერად ნეგატიური მაჩვენებელი მონიტორინგის სუბიექტებს შორის ქართულ ოცნებასთან ერთად ცესკოს დაუგროვდა.

პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი კვლავ ნეიტრალურია.

(ცხრილი # 3 - მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონი. დათმობილი დროის და პროცენტის მითითებით. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური ქრონომეტრაჟი. მონაცემებში არ შედის სუბიექტები 5 წთ-ზე ნაკლები გაშუქების მაჩვენებლით)

მონიტორინგის სუბიექტები	ნეგატიური		ნეიტრალური		პოზიტიური	
გაერთიანებული ოპოზიცია	4.92%	1:26:26	89.99%	26:21:06	5.09%	1:29:28
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	14.48%	1:18:08	78.96%	7:06:07	6.56%	0:35:23
მთავრობა	7.56%	0:34:06	85.00%	6:23:34	7.45%	0:33:36
ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია "ძალა ერთობაშია"	7.81%	0:33:26	84.49%	6:01:27	7.70%	0:32:56
ცესკო/უსკო	20.72%	1:20:57	72.36%	4:42:39	6.92%	0:27:01
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	0.12%	0:00:16	98.04%	3:30:44	1.84%	0:03:57
საერთაშორისო ორგანიზაციები	1.94%	0:03:22	86.04%	2:29:24	12.02%	0:20:52
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0%	0:00:00	97.48%	2:12:26	2.52%	0:03:25
ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0%	0:00:00	96.16%	1:29:26	3.84%	0:03:34
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0.45%	0:00:20	98.28%	1:12:31	1.26%	0:00:56
გირჩი	0.32%	0:00:13	94.47%	1:03:16	5.20%	0:03:29
დიპლომატიური კორპუსი	3.68%	0:02:11	84.87%	0:50:23	11.45%	0:06:48
პარლამენტი	15.20%	0:08:59	69.27%	0:40:57	15.53%	0:09:11
არასამთავრობო ორგანიზაციები	0.89%	0:00:30	95.37%	0:53:51	3.75%	0:02:07
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0.86%	0:00:24	96.17%	0:44:45	2.97%	0:01:23

ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0.69%	0:00:17	98.23%	0:40:35	1.09%	0:00:27
ადგილობრივი თვითმმართველობები	0.81%	0:00:20	97.93%	0:40:14	1.26%	0:00:31
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0%	0:00:00	85.74%	0:23:33	14.26%	0:03:55
პრეზიდენტი	0%	0:00:00	99.37%	0:26:27	0.63%	0:00:10
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	3.22%	0:00:20	96.78%	0:10:02	0%	0:00:00
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0%	0:00:00	93.50%	0:07:55	6.50%	0:00:33
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0%	0:00:00	98.57%	0:08:01	1.43%	0:00:07
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები	0%	0:00:00	100%	0:06:27	0%	0:00:00
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0%	0:00:00	93.77%	0:06:01	6.23%	0:00:24
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0%	0:00:00	97.04%	0:05:28	2.96%	0:00:10

გრაფიკი #2 (მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონის პროცენტული გადანაწილება. 100%-ად ითვლება თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური ქრონომეტრაჟი. მონაცემებში არ შედის სუბიექტები 5 წთ-ზე ნაკლები გაშუქების მაჩვენებლით)



მონიტორინგის ფარგლებში, საარჩევნო სუბიექტების გარდა, დაკვირვება მიმდინარეობდა არასაარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მიმდინარე საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებზე. ანგარიშში ნაჩვენებია არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება (იხ. ცხრილი #2) და მათი ჯამური ქრონომეტრაჟი მოამბის ყველა გამოშვებაში.

გრაფიკი #3 (მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური ქრონომეტრაჟი)

ნოემბერში გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის მედიაციის უპრეცედენტოდ მაღალი მნიშნელობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, რაც აისახა კიდეც მოამბის ეთერში. მოამბე აშუქებდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სადამკვირვებლო მისიების და დიპლომატიური კორპუსის განცხადებებს, ბრიფინგებს, შეხვედრებს ოპოზიციურ პარტიებთან და ქართულ ოცნებასთან.
საანგარიშო პერიოდში აქტიურად შუქდებოდა: ეუთო-ში ნორვეგიის ელჩის განცხადება საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლის და ევროპარლამენტარების განცხადებები პოლიტიკური პარტიების პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება 31 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით, მედიაციის პროცესი და ოპოზიციის შეხვედრები ევროკავშირის, აშშ-ის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებთან, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს საქართველოში მოამბის სპეციალური გამოშვება დაეთმო. გაშუქდა ამ ვიზიტის შეფასებებიც მთავრობის, ექსპერტების, ოპოზიციის და ქართული ოცნების მიერ.

მონიტორინგის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მონიტორინგის სუბიექტებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პოზიტიური გაშუქების მაჩვენებლი აქვს (იხ. ცხრილი #3).

საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების, სუბიექტების დაპირისპირების და საპროტესტო აქციების გაშუქება იყო ერთგვარი გამოწვევა მოამბის ჟურნალისტებისა და წამყვანებისათვის. საგანგებო პირობებში ჟურნალისტები ხშირად პოლიტიკოსების თავდასხმის ობიექტებიც კი ხდებოდნენ. წარმოდგენილ ანგარიშში შეგვიძლია მხოლოდ მათი სამუშაოს ხანგრძლივობის დაფიქსირება და ვერ შევაფასებთ მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხარისხს.

გრაფიკი #4 მოამბის წამყვანების ეთერში მუშაობის ხანგრძლივობა



გრაფიკი #5 მოამბის წამყვანების ეთერში მუშაობის ხანგრძლივობა